



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან
დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№26 (9.788)
8 - 15 ივლისი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა



მმ.2

შესვენება ხალხური სიმღერების ქურუმთან

გასვლითი შესვენება და ადგილზე გადაჭრილი პრობლემები



მმ.3

ირაკლი ქადაგიშვილი: „მოქალაქეთა ტრადიციული მიღება გუბერნატორის ამინისტრაციის გარდა უკვე მუნიციპალიტეტებში გაგრძელდება. ეს არის შესაძლებლობა იმ ადამიანებისათვის, ვინც გუბერნატორის ადმინისტრაციაში ტრადიციულ მოქალაქეთა მიღებაზე სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოდის“.



მმ.3

დადოფლისწყაროს გაუდაბნობა არ ემუქრება



მმ.4-8

ღმერთმა ხელი მოუმართოს

სახელმწიფო პოლიტიკა თუ ერთიანი პოლიტიკოსების ასირება?



მმ.5



მმ.6

გაგასაჯართო თუ არა ძალადობა?!

ჰერების ექსკურსია



მმ.5

კალიებს ებრძვიან

პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სიღნაღი-დადოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შილაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან, კახეთის გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილთან, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან, ზურაბ ჩეკურამეილთან და დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელ ნიკოლოზ ჯანიშვილთან ერთად დადოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საკარანტინო მანქანების - იტალიური კალიის საწინააღმდეგო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. იტალიური კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ატარებს. ქიმიური ნაწილობა აქტიურად მიმდინარეობს კახეთში - დადოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის მუნიციპალიტეტებსა და ქვემო ქართლის რეგიონში. დღეისათვის, უკვე დამუშავებულია 2 400 ჰექტარი. სააგენტოს სპეციალისტები წამლობას სამანქანო დანადგარებით ახორციელებენ. იტალიური კალია საშიში საკარანტინო მანქანებელია, რომელიც მწვანე საფარს და ნარგავებს ანადგურებს.

შეხვედრა ხალხური სიმღერების ქურუმთან

„თუ გვინდა, ქართული ხალხური სიმღერა და გალობა გადარჩეს და მომავალ თაობებს გადაეცეს, ის ბავშვებს უნდა ვასწავლოთ“-ეს სიტყვები ქართული ფოლკლორის დიდ მოამბეს, ანზორ ერქომაიშვილს ეკუთვნის. სულ რამოდენიმე დღის წინ, დედოფლისწყაროს ჰ. გონაშვილის სახ. ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის სკოლის უფროსკლასელთა ანსამბლი თელავში, სოფ. ართანაში იმყოფებოდა- ლეგენდარულ, უზუცეს ლოტბართან და კახური სიმღერების პატრიარქთან, ბ-ნ ანდრო სიმამ-პილიძეს. შეხვედრა შედგა გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლ-

გამონვეული უზომო სიხარული ემატება. ანდრო პაპა სამი საათის განმავლობაში სახლის მეორე სართულზე განთავსებულ მუზეუმში ბავშვებსა და უფროსებს თავის შემოქმედებით ცხოვრებაზე მოგვითხრობდა და ამ ყველაფრის დასტურად, საგულდაგულოდ შემონახულ ფოტოალბომებსა და ჯილდოებს გვათავალებინებდა. განცვიფრებულები ვისმენდით მის დახვეწილ მეტყველებას, არჩვეულებრივი საუბრის მანერას, გაგვაოცა მისმა გონებრივმა და ფიზიკურმა რესურსმა ამ ასაკში. ადამიანი, რომელიც მთელი სამი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა და ნუთითაც არ დამჯდარა, ნამდვილი სასწაული იყო. მან ანსამბლის ხელმძღვანელთან, გელა გველუკაშვილთან ერთად „წინწყარო“, ანალოლაშვილთან ერთად ართანულ „ალილო“ და რამოდენიმე ხალხური სიმღერა ანსამბლის წევრებთან -ბაჩანა ალუღიშვილთან, ლევან ბენაშვილთან, გიორგი ჩიბუხაშვილთან, გიორგი ჯალიაშვილთან, მალხაზ უშილაურთან, გიორგი წერეთელთან და ლევან

ადამიანს ანდრო პაპას, ეს დღე იმდენად იყო სავსე დადებითი ემოციებითა და შთაბეჭდილებებით, რომ ალბათ, წარუშლელ კვალს დატოვებს, როგორც ბავშვების, ასევე უფროსების მეხსიერებაში. დიდი იყო სიხარული ანდრო პაპას მხრიდანაც, რომელმაც ასაკის მიუხედავად, შესაშური ენერჯიულით მოუთხრო ბავშვებს მის მიერ განვლილი ცხოვრების შესახებ, მათთან ერთად შეასრულა ხალხური სიმღერის ნიმუშები, არ დაიზარა და რჩევები მისცა მათ. მან დიდი სიბოთით და სიყვარულით აღნიშნა, რომ ყველას ანდრო პაპა იგი. ტკივილნარევი სიხარულით დავემშვიდობეთ მას, რადგან დაგვრჩა განწყობა, რომ ასეთი საინტერესო ცხოვრებაგამოვლილი ბუმბერაზი ადამიანები, რომლებიც ემსახურებიან ჩვენი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და მომავალი თაობებისთვის გადაცემას, რომლებიც ჩვენი სამშობლოს ერთგული ჯარისკაცები არიან და თავიანთ კვალს ტოვებენ ქვეყნის ისტორიაში, ალბათ მეტ ყურადღებას იმსახურებენ, როგორც ქვეყნის, ასევე საზოგადოების მხრიდან. მას კიდევ აქვს პოტენციალი ბევრი კარგი რამ გააკეთოს მომავალი თაობისთვის. დღეგრძელობა და ჯანმრთელობა მას.

გაგვიზიარა. მას, მართლაც, უდიდესი წვლილი მიუძღვის ხალხური სიმღერის გადარჩენაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანდრო პაპას საოჯახო ანსამბლის მიერ აღდგენილი კახური „ალილო“, რომელსაც ართანული უწოდეს. ანდრო პაპას ღვაწლის გარდა, არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი პიროვნული თვისებები, რომლითაც განსაკუთრებულად მოვიხიბლეთ და ორმაგი პატივისცემით განვწყვეთ. ჩვენი ანდრო პაპა დიდსულოვანი და კეთილსინდისიერია. ის უბრალოებით გამოირჩევა ადამიანების მიმართ. იგი სამაგალითო თითოეული ჩვენთაგანისთვის. მისი გაცნობის შემდეგ მივხვდი, როგორი სიყვარულით უნდა ვემსახურო არჩეულ პროფესიას...



თა დაცვის სამსახურის უფროსის თამარ თამაზაშვილის ინიციატივით. შეხვედრის მიზანი გახლდათ, ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდები ახლოს გასცნობოდნენ ამ ბუმბერაზ ადამიანს, რომელიც მალე 95 წლის გახდება, მოესმინათ მისი ნამღერ და ნაუბარი, რათა უფრო თვალნათლივ და ცხადად შეეგრძნოთ, რას ნიშნავს ერისთვის ხალხური სიმღერა, რომელიც საუკუნეებს უძღვება და არათუ კარგავს პოპულარობას, არამედ დღითიდღე გლობალურ მასშტაბებს იძენს. ამის დასტურია UNESCO-ს მიერ „ქართული მრავალხმიანი ხალხური სიმღერის ალიარება კაცობრიობის ხელთუქმნელი სულიერი საგანძურის შედევრად“.

თარხნიშვილთან ერთად შეასრულა, ეს ჩანაწერი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და ისტორიული მნიშვნელობის ჩვენა ამ ბიჭებისთვის. ჩვენ გავესაუბრეთ ჰ. გონაშვილის სახ. ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის სკოლის დირექტორის მოვა-

აქვე დავძენ, რომ სკოლის შექმნიდან სამ წელიწადში უკვე გვყავს ჩვენი სკოლადამთავრებული ერთი წარმატებული სტუდენტი გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლეს სასწავლებელში- ნიკა შანშიაშვილი და ერთი წარმატებული აბიტურიენტი, ანა ლოლაშვილი, რომელმაც უმაღლესი ქულები მიიღო ზემოთ ხსენებული სასწავლებლის შიდა გამოცდებზე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ნიკასაც და ანასაც დიდი წარმატებები ვუსურვო დასახული მიზნების განხორციელებაში.

ჩემთვის დიდი პატივი იყო მასთან შეხვედრა, უდიდესი სიხარული და ბედნიერება, ამიტომ, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით ფოლკლორის სკოლას და ამ დღის ავტორებს.

ლევან ბენაშვილი (ანსამბლის წევრი) – ჩემთვის ფოლკლორი არის ხალხური სიბრძნე, წეს-ჩვეულებები, ქართველი კაცის შემოქმედების მისი სულიერი მდგომარეობის გამოვლინება. ანდრო პაპასთან შეხვედრამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. გამაკვირვა 94 წლის მოხუცის ახალგაზრდულმა შემართებამ, ნიჭმა და სიალაღმამ. მასთან სიმღერამ სტიმული მომცა, რომ უკეთესად შევისწავლო ხალხური სიმღერა.

ანდრო სიმამპილი – მოკლე ბიოგრაფია: ცნობილი ქართველი ლოტბარი, მომღერალი, ღირსების ორდენის კავალერი, ფოლკლორის ეროვნული პრემიის და ფონდი „ქართული გალობის“ ლაურეატი დაიბადა 1923 წლის 6 ოქტომბერს თელავის რაიონის სოფ. ართანაში და მთელი თავისი ცხოვრება ქართული ფოლკლორის განვითარებას მიუძღვნა. იყო ანსამბლ „ართანას“ ხელმძღვანელი, ანსამბლ „შემოძახილის“ და „ალავერდის“ ლოტბარი. მას არაერთხელ აქვს მინიჭებული ლაურეტის ნოდება კომპოზიტორთა კავშირის პლენუმებზე, 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, 2002 წელს მიიწვიეს პარიზში ფრანგული ანსამბლების „მარანისა“ და „ირინოლასთვის“ ქართული ხალხური სიმღერების შესასწავლად. მისი შესრულებით გამოცემულია არაერთი აუდიოკასეტა, მასზე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ანდრო სიმამპილი“. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს არერთი ოქროს მედალი და ფულადი პრემია, ხოლო 2013 წელს ქართული ხალხური სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში განუვლი ღვაწლისთვის ფონდი „ქართული გალობის“ მიერ ანდრო სიმამპილის მიენიჭა ქართული ხალხური სიმღერის მოამბის ნოდება.



ლევანის შემსრულებელს მაია ზედელაშვილს, ანსამბლის წევრებს და თავიანთი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ მათ. **მანია ზედელაშვილი** – გვახარებს ჩვენი სკოლის მოსწავლეთა და ვაჟთა ანსამბლის წინსვლა და წარმატებები, ისინი სამი წლის განმავლობაში იღებენ მონაწილეობას საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდულ ეროვნულ საგუნდო ფესტივალზე, მათი შედეგების მიხედვით კარგად მიხვდებით მათ ზრდა-განვითარებას: 2015 წელს აიღეს მესამე ადგილი და ლაურეტის ნოდება, 2016 წელს 1ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი, წელს კი მათ უკვე 2 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გარდა ამისა, ისინი წარმატებით გამოდიან ადგილობრივ თუ სხვა კულტურულ ღონისძიებებზე. ძალიან გვინდოდა მიგველოცა ბავშვებისთვის წარმატებები რაიმე განსაკუთრებულით, ამაზე კარგი კი რა უნდა მოგვეფიქრებინა, თუ არა სტუმრობა ჩვენი დროის უდიდეს ლოტბართან, ანდრო სიმამპილთან, და აი ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ვეწვიეთ თელავის ულამაზეს სოფელ ართანას, ძალიან ტკბილ და საოცარ

ბაჩო ალუღიშვილი (ანსამბლის წევრი) – ანდრო პაპასთან სტუმრობის შედეგად მე დავინახე, რომ სიბერეს არ შეუძლია შეაჩეროს კეთილშობილება, პატრიოტიზმი და სიმღერისადმი პატივისცემა. ანდრო პაპა არის ამის ცოცხალი მაგალითი და მისი ამაგი განუსაზღვრელია ქართულ ფოლკლორში. ანა ლოლაშვილი (სკოლის კურსდამთავრებული) – 29 ივნისს ვესტუმრეთ სოფელ ართანას, სადაც ცხოვრობს ხალხური სიმღერების შემომნახველი, ლოტბარი ანდრო სიმამპილი. მან დიდი სიყვარულით მიგვილოცა. მოგვითხრო თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები. ჩვენთან ერთად იმღერა, რჩევები მოგვცა და თავისი გამოცდილება

ქართულ ხალხურ სიმღერას დიდი მნიშვნელობა აქვს ერისთვის, რადგან ხალხური სიმღერა არის ჩვენი წარსული, ტკივილი, სიხარული. ამიტომ ვალდებულები ვართ, არ დავივიწყოთ და ვემსახუროთ მას.

გიორგი ჩიბუხაშვილი (ანსამბლის წევრი) – ჩემთვის ფოლკლორი ერთადერთი რამაა, რასაც ჩემი ნებით ვაკეთებ და მიყვები, ისაა, რაც მაცოცხლებს და ცხოვრების გზას მიჩვენებს, რაც ყველაფერ დაბრკოლებას მალახვინებს და ეს ყველაფერი მაშინ უფრო გამძლიერდა, როდესაც ანდრო პაპა დავინახე. უფრო მომიხდა, რომ არ დავნებებულყავი და მეტი შემართებით მეგრძობა. ანდრო პაპამ დამანახა ის, რომ არასდროს უნდა დავნებდე და უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რაც მინდა ან გვინდა. რა თქმა უნდა, ხალხური სიმღერა ერთერთია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს და რომელიც საქართველოს უკეთესს აჩენს მსოფლიოს წინაშე. ის რომ არ იყოს, საქართველო ერთი ჩვეულებრივი ქვეყანა იქნებოდა, სადაც მხოლოდ ადამიანები ცხოვრობენ, ის კი ერთიან ერად გვაჩენს და ერთ ძალად გვკრავს, როგორც ეს გუნდში ხდება.

ანდრო სიმამპილთან შესხვედრად ანსამბლის წევრებთან ერთად იმყოფებოდნენ ფოლკლორის სკოლის პედაგოგები: მარიამ კიკლაშვილი, მარიკა მგელიაშვილი, ნინო მანჯაფარაშვილი, მაია ზედელაშვილი, სკოლის თანამშრომლები და ანსამბლის ხელმძღვანელი გელა გველუკაშვილი. მათ ანდრო პაპას სკოლისგან სამახსოვრო საჩუქრად „ბიბლია“ გადასცეს.

მასალა მოამზადა ელზა ხარაშვილმა



გასვლითი შეხვედრა და აღვივებული გადაჭრილი პრობლემები

ნ ივლისის დედოფლისწყაროს სამუშაო ვიზიტით კახეთის გუბერნატორი სტუმრობდა. როგორც ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, ის იწყებს რეგიონის მუნიციპალიტეტებში გასვლით შეხვედრებს. მისმა ახალმა ინიციატივამ სტარტი დედოფლისწყაროდან აიღო.

მხარის პირველი პირი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროს ბენო გეგეჭკორთან და რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროს მალხაზ ჭრელაშვილთან ერთად უშუალოდ შეხვდა დედოფლისწყაროს გამგეობის თანამშრომლებს და მათგან მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

რა მიზანს ემსახურება გუბერნატო-

რის გასვლითი შეხვედრები, ამის თაობაზე კომენტარი ირაკლი ქადაგიშვილმა გააკეთა:

„ჩვენ თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩავდივართ, ადგილზე ვეცნობით ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, იმ საკითხებს, რაც პრობლემური არის მუნიციპალიტეტში. დედოფლისწყაროში ერთ-ერთი პრობლემური საკითხია წყალმომარაგების თემა, განსაკუთრებით სოფლები – ოზაანი და ზემო მაჩხაანი. ამ ბოლო დღეებში პრობლემა შეექმნა ქალაქ დედოფლისწყაროსაც – ისიც გრაფიკზე გადავიდა. დღეს ჩამოყვანილი გვეყავს აქ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კახეთის რეგიონის ხელმძღვანელი. ადგილზე რაღაც გადაწყვეტილებები მივიღეთ და დაიგეგმა, რომ უფრო მასშტაბური საკითხია გადასაწყვეტი მაჩხაანთან მიმართებაში და თბილისში, უკვე კომპანიის ხელმძღვანელებსთან გვექნება ამ დღეებში შეხვედრა-თათბირი, რომ მაჩხაანის წყლით მომარაგების საკითხის გადაწყვეტა დაიწყოს. ძალიან გაინტერესდა ეს თემა, უზარისხო წყალი მიწოდება მოსახლეობას და ისიც ძალიან მცირე ნაწილს. პრობლემა მრავალმხრივია, რის გამოც ის არის გამოწვეული და ამიტომ, ამ გადაწყვეტილებამდე მივდივით. უახლოეს მომავალში დაიწყება ოზაანის გამრიცხველიანება. გამრიცხველიანება აუცილებელია იმიტომ, რომ მივიღოთ დადებითი შედეგი და ეფექტი-რეალურად რომ წყალი გვექონდეს. მაგალითად, დედოფლისწყაროს სხვა სოფლებში, წყალი, გამრიცხველიანების შემდეგ ხალხს აქვს. ამ შეხვედრის მიზნები სწორედ ეს არის, რომ ისეთი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც ვერ წყდება ადგილობრივ დონეზე,



დავეხმაროთ მუნიციპალიტეტებს მათ გადაწყვეტაში. ამავდროულად, ჩვენ ვმუშაობთ ყველა მუნიციპალიტეტთან ერთად, მუნიციპალიტეტებისა და ზოგადად მთელი რეგიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებთან დაკავშირებით და ადგილზე გავდივართ ამ საკითხებს სპეციალისტებთან ერთად. ვხვდებით მოსახლეობას, მათ სატიკვარს პირადად ვისმენ, ვნახულობ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების პროექტების ფარგლებში. დედოფლისწყაროში ბევრი რამაა გაკეთებული, მინდა ცალსახად ვთქვა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები არ განჩრდება, უბრალოდ, სამუშაოთა მოცულობა, ათეული წლების განმავლობაში, დაგროვილია ძალიან ბევრი, მაგრამ ეტაპობრივად, ყოველ წელს უფრო მეტი ნივთი გვექნება ინფრასტრუქტურული მოწოდების კუთხით – უფრო მეტი საბავშვო ბაღი იქნება შესაბამის მდგომარეობაში მოყვანილი, სათანადო კვებით და პირობებით. სკოლების თემაც ეტაპობრივად გამოსწორდება. დედოფლისწყაროში აქტუალურია ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დამწვარი შენობის თემა. ჩვენ განათლების სამინისტროსთან გვაქვს მუდმივი კონტაქტი და ვეხმარებით მუნიციპალიტეტს, რომ მომავალი წლისთვის დაიწყოს ახალი სკოლის მშენებლობა, რათა ბავშვებმა შესაბამის პირობებში ისწავლონ.

ნაკარგოდ აიღონ ქერისა და ხორბლის მოსავალი. მესმის, რომ ყველას ერქარება მოსავლის აღება-დაბინავება, მაგრამ გრაფიკს ძალიან გონივრულად და ეფექტურად ვამუშავებთ, რომ არ დარჩეს საბოლოო ჯამში არცერთი ფერმერი შესაბამისი ტექნიკის მომსახურების გარეშე“.

კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა დედოფლისწყაროში მოქალაქეთა მიღებაც გამართა. მას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით 10-მდე მოქალაქე შეხვდა.

„მოქალაქეთა ტრადიციული მიღება გუბერნატორის ამინისტრაციის გარდა უკვე მუნიციპალიტეტებში გაგრძელდება. ეს არის შესაძლებლობა იმ ადამიანებისათვის, ვინც გუბერნატორის ადმინისტრაციაში ტრადიციულ მოქალაქეთა მიღებაზე სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოდის. საკუთარი შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში თითოეული ადამიანის პრობლემურ საკითხს პირადად ვეცნობი და შემდგომ რეაგირებაზე უკვე შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად ვიმუშავებთ. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ოპერატიულად მოვახდინო ადგილობრივი მოსახლეობის ინფრასტრუქტურული, სოციალური თუ სხვა სახის საკითხების გადაჭრა“ – აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ნათელა ტოკიკიშვილი: „დღევანდელი შეხვედრით კმაყოფილი ვარ. გუბერნატორმა ყურადღებით მოისმინა ჩემი პრობლემა, გულთან ახლოს მიიტანა ჩემი გასაჭირი და დახმარებას დაჰპირდა. მაღლობა მას გულსხმიერებისთვის“.

მოგვიანებით ირაკლი ქადაგიშვილმა დედოფლისწყაროში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა და მოსახლეობას გაესაუბრა.

ინგა შიოლაშვილი



დედოფლისწყაროს გაუდაბნობა არ ემუქრება

„ყველაზე ხშირად მესმის და ვკითხულობ, რომ კლიმატის ცვლილების მხრივ საშიში არის დედოფლისწყარო, მაგრამ მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასე არ არის – მთლიანად მთელი საქართველო თანაბრად საშიშია ამ მხრივ. კლიმატის ცვლილება მხოლოდ დედოფლისწყაროზე არ აისახება, ის თანაბრად აისახება მთელი ქვეყნის მასშტაბით. 100 წლის მანძილზე საქართველოში უდაბნო ვერ წარმოიქმნება, მათ შორის ვერც დედოფლისწყაროში. დღეისათვის მოდის აქ 235-250 ნალექი, რის პირობებშიც აქ

უდაბნო არ წარმოიქმნება“ – ასეთი დამამბედელები ინფორმაციით დაიწყო ლექცია გიორგი დვალაშვილმა, რომელიც პროფესიით გეოგრაფი გახლავთ, ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. პირველ რიგში ხდება ტერმინის „კლიმატის ცვლილება“ დამახინჯება, აღნიშნა მან და განმარტა, რომ „კლიმატის ცვლილება ეს არის ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა, რომელიც დედამიწაზე მიმდინარეობს. მზეს ახასიათებს თავისი აქტივობის პერიოდი

და პასივობის პერიოდი. აქტივობის პერიოდი არის 24 წლიანი და 12 000 წლიანიც. სხვათა შორის, დედამიწის არსებობის მანძილზე, მომხდარა როგორც აცივება, ასევე დათბობაც. კლიმატის ცვლილებები მაშინ უფრო აქტუალური იყო, როცა აცივება ხდებოდა, ვიდრე დათბობის პირობებში“.



კლიმატის ცვლილების პარალელურად მან ისაუბრა უკონტროლო ძოვებისა და ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების უარყოფით შედეგებზე და დასძინა, რომ ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება გაცილებით ვნებს გარემოს, ვიდრე კლიმატური ცვლილება. ის შეეხო 90-იან წლებში გაჩენილი ქარსაფარი ზოლებსა და ტყის მასივების საკითხს: „რაც შეეხება ქარსაფარ ზოლებს, ყველას ახსოვს, რომ არაერთი მწყემსი გადმოდიოდა და კაფავდა მას. არაერთი კორომია განადგურებული, როგორც ქარსაფარის მოჭრით, ასევე გადაწვითაც. რაც შეეხება ქარსაფარი ზოლის გაშენების პროექტს, ბევრი მსგავსი პროექტი ხშირად სათავეშივე განწირული, რადგან არ ითვალისწინებენ იმ რეგიონის კლიმატურ პირობებს,

სადაც ამა თუ იმ ხე-მცენარის დარგვას გეგმავენ. დედოფლისწყაროშიც სწორედ ეს მოხდა, ყველაზე კარგია ფშატი და აკაცია. ეს სახეობები თუ არ იქნება სწორად შერჩეული, ბუნებრივია, ნებისმიერი პროექტი კრახს განიცდის“. სემინარზე კიდევ ბევრ საინტერესო და აქტუალურ საკითხზე ისაუბრეს. დამსწრე საზოგადოება აქტიურად ჩაერთო დისკუსიაში. შეხვედრამ საინტერესო ვითარებაში ჩაიარა. ტრენინგი ჩატარდა „დედოფლისწყაროს ქალების პროექტის“ ქალები სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში (აფინანსებს „ქალთა ფონდი საქართველო“).

ინგა შიოლაშვილი

დმერთმა ხელი მოუშართოს

მასზე დღესაც კიდევ აქა-იქ გაიგონებთ მორალურ ფრაზას: „ააა, ეგ ის არ არის, მხედრონელი, - ავტომატომოკიდებელი რომ დადიოდა?!“ თუმცა, მხედრონელი ის არასოდეს ყოფილა. უბრალოდ, დრო იყო ისეთი, ყველა იარაღიან ადამიანს მხედრონელად რომ აღიქვამდა საზოგადოება. შიში, ძალადობა, განუკითხაობა და ქაოსი სუფევდა ირგვლივ. არა სინათლე, არა სითბო, არა სიმშვიდე - რთული და ძნელადპროგნოზირებადი ანმყო ჰქონდა მაშინ ქართველ ხალხს და

იჯარით და იქიდან დაიწყო ეს ყველაფერი. 2007 წელს სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელისაგან“ ყოფილი ატეკის სამეურნეო ეზო შევისყიდე და სასაწყობე მეურნეობის შექმნა გადაწყვიტე. დღეს აქ რასაც ხედავთ, ათი წლის მუხლჩაუხრელი, ოცდაოთხსაათიანი შრომის, ფიქრის და უძილო ღამეების შედეგია.

ძვირფასო მკითხველო, იმას კი, რასაც თქვენ ატეკის ყოფილ ეზოში შესვლისას ნახავთ, ჩვენს რეალობაში თითქმის დაუჯერებელია. თანამედროვე სტანდარტზე გათვლილი და ტექნიკურ-ტექნოლოგიური გარანტიებით აღჭურვილი სასაწყობე ნაგებობები 10 ათას ტონა მარცვალზეა გათვლილი.

- მარცვალს არამარტო სისუფთავის მიხედვით ვახარისხებთ, არამედ ყველა სხვა ლაბორატორიული მონაცემებითაც. ერთნაირი ნატურის, ნებოგვარს, იდეკას მქონე ხორბალს ერთად ყვრი, რადგან შემდეგ ფასიც სწორედ ამ მონაცემებზეა დამოკიდებული,

როცა სასაწყობე მეურნეობა გაიზარდა, ძალიან მოუხერხებელი იყო წნორში ან დედაქალაქში ლაბორატორიულ შემოწმებაზე წინააღმდეგობა. ამიტომ, საქმემ მოითხოვა და ლაბორატორია გაგვკეთე. ჩვენთან დგინდება ნატურა, ნაგავმინარევი, მინისე-ბურება, სინოტივე, ნებოგვარა, იდეკა. ვემსახურებით როგორც ჩვენს კლიენტს, ასევე სხვებსაც, ნებისმიერ ფერმერს გარანტიას ვაძლევთ, რომ ჩვენს მიერ გაცემული ცნობა უტყუარია. ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თამუნა ალუღოშვილი და ნათია ლოგჯანიძე. ლაბორატორია აუცილებელია იმ საქმისთვისაც, რომელსაც სამომავლოდ ვგეგმავ. მოსავლის აღება და ბინაგებისთანავე ექსპლუატაციაში გაუშვებ ნისქელს, რომლის წარმადობაც 24-საათში 20-25 ტონა იქნება. მიხედავ, ეკოლოგიურად სუფთა ფქვილი ვანარმოო ყოველგვარი მიწარეგების გარეშე. ნისქილი სრულ მზადყოფნაშია, - ამბობს ბატონი ნუგზარი და მჯერა, ეს საქმეც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც სხვა ყველა მისი წამოწყება.

ორგანიზაცია, ძირითადად, შენახვა-გადაზიდვაში ეხმარება კლიენტს, გაყიდვის პროცესშიც ერთვება და უიოლებს რეალიზაციის პროცესს, ეზო საცხეა მრავალნაირი ტექნიკით. დღეისთვის მათ ბალანსზე ხუთი მრავალტონიანი მანქანა, ორი მაღალი კლასის ტრაქტორია თავისი მისაბმელებით: გუთნით, საჩხით, ფრეზით, სასუქის გამშლელით, ასევე „ნიუ-ჰოლანდის“ კლასის კომბაინი და ტექნიკა, რომელიც მარცვლის გასუფთავებას, დახარისხებას და დატვირთვას ემსახურება. ყველაფერი თანამედროვე, საუკეთესო ფირმის გამოშვებაა და არა მარტო საქმის შესრულების ხარისხით, არამედ ვიზუალურადაც კი სასიამოვნოა. ამ ყველაფერს გამოცდილი სპეციალისტები ემსახურებიან. მძღოლები: გუჯა ნატროშვილი, ამირან ლობჯანიძე, გია რაგულენკო, ზვირა გაგაშელიშვილი, ტრაქტორისტები: გიორგი, დათო და ვეფხო ბენაშვილები თავლის ჩინივით უფრთხილდებიან და უვლიან მათზე გაპროგნებულ ტექნიკას. მთელი დღე მუხლჩაუხრელად შრომობენ კობა და მერაბ

გონაშვილები, ავთო მინასოვი, გორა გვიგვილი, დათო საბიაშვილი, გია ნაროზაული. აქ სისტემატურად 18-20 ადამიანია დასაქმებული. მალე მას ნისქელის თანამშრომლებიც დაემატებიან და მათი რიცხვი თითქმის ოცდაათამდე გაიზარდება. ეს ხომ დიდი სიკეთეა, რომ ამ უმუშევრობის და შეჭირვებული ცხოვრების ფონზე სამსახური აქვთ და ამას ისიც ემატება, რომ თანამშრომლები ყოველდღიურად ერთად სადილობენ და, როდენ გასაოცარიც არ გინდა იყოს, ეს ყველაფერი ორგანიზაციის ხარჯზეა და მათ ამისათვის ხელფასიდან არ ეჭვითებათ. ეს კი ნამდვილი ქველმოქმედებაა.

- როცა ვხედავდი, სახლიდან მოტანილ საქმელს ორი-სამი კაცი ვგუფუ-ვგუფად როგორ ჭამდა, თანაც სულ მშრალ საქმელე-ბს, გადავწყვიტე, სასადილო გამეკეთებინა. პირველ რიგში ჭა ამოვთხარეთ, რომ წყალი მუდმივად გვექონდა და საქმეს შევუდექით. ახლა გვაქვს სრულად აღჭურვილი სამზარეულო და სასადილო დარბაზი, სადაც 30-35 კაცს თავისუფლად შეუძლია ისადილოს. მოცალეობის ჟამს დასასვენებლად ტაბტი და სავარძლებიც დავდგი. თანაც, სამუშაო ადგილები შეიქმნა. სასადილოს საქმიანობას, ძირითადად, ჩემი მეუღლე უძღვება ჩვენს ახლობელ ქალბატონთან ანა ტეტლოშვილთან ერთად. მუშები ძალიან კმაყოფილები არიან, ეს იაფი სიამოვნება არ არის, მაგრამ სიკეთე არც ღმერთთან და არც კაცთან არ იკარგება, - გვიხნის ნუგზარი.

ნათია ლოგჯანიძე - ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და ყველა ერთმანეთს ვუდგავართ მხარში. გუნდურობა ჩვენი მთავარი პრინციპია. გვაქვს ბოსტანი, სადაც მოგვყავს ყველანაირი მწვანელი, ბოსტნეული. თითქმის ჩვენივე საკმარისი ნიორი და ხახვი, კიტრი და პომიდორი, ახალი კარტოფილი და ნედლი ლობიო გვაქვს სეზონზე. დღემდე 2-3-ჯერ ყავა და ჩაი შეუძლიათ მიირთვან თანამშრომლებმა, 2 საათზე ვსადილობთ. კვირაში სამედიცინო მინცხორციანი სადილი გვაქვს, რადგან უფრო მეტი მამაკაცი არიან, ისინი ფიზიკურად მუშაობენ და დიდ ენერჯის ხარჯავენ. ორი, ხან სამი თავი საქმლის მომზადება გვინევს. მენიუს, ყველი, მწნილები და სხვა ატრიბუტები, ხილთან ერთად, სეზონის მიხედვით ემატება. უალკოჰოლო სასმელებიც შეუზღუდავადაა, ვისაც რამდენი ესიამოვნება. ყოველწლიურად ვზრდით 100-დან 150-მდე ფრთა ქათამს და ვიყენებთ როგორც ხორცს, ასევე კვერცხს. მეურნეობაში ყველა ვართ ჩართული, არავინ თავიკობს, გათიხნოს, დაბაროს, დარგას, მოუაროს საქათმეს, ისე ვართ, როგორც ოჯახშია.

(ძვირფასო მკითხველო, მგონი აქ ამ კუთხით „კომუნისმია!“)



ბურუსით მოცული მომავალი. იმ ბურუსში გზის გაგნება ადვილი არ იყო. ვერც ნაშზარ ალუღოშვილმა გაიარა ეს გზა იოლად.

- მაშინ ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე წლები იყო. სრულიად ახალგაზრდა ცხინვალის ომში პირველივე შეტაკებების შუაგულში აღმოჩენიდი. მაშინ ატეკაში მძღოლად ვმუშაობდი და ჩვენი რაიონის პოლიციის თანამშრომლების წაყვანა დამევალა ფრონტის წინა ხაზზე. ორი თვის შემდეგ დავბრუნდი, მაგრამ სამხედრო კომისარიატმა ოფიციალურად გამინვია და სამხედრო პოლიციის დანაყოფში ჩავირიცხე. ხან დასავლეთში ვიყავით და ხან აღმოსავლეთში - ვიცავდით მოსახლეობას სხვადასხვა ჯურის ძალადობისგან. რამდენიმე ხანში ამ ორგანიზაციის რეგიონული დაყოფა დაიწყო და მე კახეთის რეგიონული სამხედრო პოლიციის შტაბის უფროსად დავინიშნე. საერთო მეთაური გია გუგენიშვილი იყო. საზღვრის დაცვა და რეგიონში წესრიგის დამყარება გვევალებოდა. საშინელი დრო იყო: ძარცვა, ყაჩაღობა, ადვილი არ იყო სხვადასხვა ფორმირებების წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის მხედრონელებთანაც. აფხაზეთის ომაც ჩემს ზურგზე გადაიარა, სოხუმის დაცემამდე იქ ვიყავი. ასე რომ, იმ ავტომატს ჩემთვის ტკივილის, უძილო ღამეების, უსიამოვნო მოგონებების მეტი არაფერი მოუტანია. სიკვდილს თვალე-ბში ჩავეყურებდი, ასე ვიცხოვრე ის წლები. მერე ორგანიზაცია გაუქმდა და მეც სამოქალაქო ცხოვრებას დავუბრუნდი, - იხსენებს ბატონი ნუგზარი.

- სად და როდის დაიბადე, ვინ იყვნენ შენი მშობლები და, საერთოდ, როგორი იყო შენი ბავშვობა, შენი ოჯახი?

- 1964 წლის 15 სექტემბერს დაიბადე მირზაანში. მამა საკომლემურნობათამორისო სამშენებლო ორგანიზაციაში მუშაობდა, მშენებელი იყო, დედა - კოლმეურნე. სამი შვილი ვყავდით - ორი ბიჭი და ერთი გოგო. ჩემი და-ძმა ამჟამად თბილისში ცხოვრობენ თავის ოჯახებთან ერთად. მშობლები უკვე მოხუცები არიან, მირზაანში, ჩემს ეზოში ცხოვრობენ და მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ზემო მარჯანის საშუალო სკოლა დავამთავრე, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ვერ დავამთავრე, ცხოვრება არია. ოჯახი ჩემს თანასოფელელ ნათელა ლობჯანიძესთან ერთად შევქმენი. მყავს ერთი ქალიშვილი, პროფესიით ექიმა, ოფთალმოლოგი. ერთი წელია გათხოვდა, ეს მამისთვის მძიმედ შესაგუებელი პროცესია, გამიჭირდა. კარგი ბიჭია ჩემი სიძე, გიორგი ლეკიაშვილი, ზემო ბობოღბელია. ახლა ორივე ჩემთან მუშაობს.

- სამოქალაქო ცხოვრებას დაუბრუნდით, ბრძანეთ, რას საქმიანობდით?

- მირზაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დამინიშეს. 2000 წლამდე კოლმეურნეობა იყო, მერე - კოოპერატივი, 2005 წლამდე ვხელმძღვანელობდი ამ კოოპერატივს, მერე მივხვდი, რომ კერძო საქმიანობის დრო მოვიდა. 10 ჰექტარი მიწა ავიღე



გამთენიდან დაღამებამდე აქ ორი ადამიანი მუხლჩაუხრელად ფუსფუსებს. მათ ყველა „პაპას“ და „ბებოს“ ეძახის. სინამდვილეში კი ისინი სულხან მამუჩარაშვილი და მისი მეუღლე ნაზო არიან.

- ოთხი წელია, აქ ვართ, ახმეტის რაიონის სოფელ მატანიდან ჩამოვედით. ქალაქი გვაყავს, დაბინავებულები არიან. ჩვენ კი აქ ამ კეთილ ხალხთან ვცხოვრობთ. გვაქვს ჩვენი ოთახები, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ვიდუფრავი აყენია, ჩვენც ვდარაჯობთ ყველაფერს, ასი თვალი და ყური გვაქვს გამობოზებული, სადაც კი საჭირონი ვართ, იქ ამოვუდგებით ხოლმე მხარში. ჯერ მხნედ ვართ და თავს არ ვზოგავთ, რადგან ისინი ისეთი თბილი და ჰუმანური არიან, ზოგს საკუთარ სახლში არ ექცევიან ისეთი პატივით და სიყვარულით, როგორც ჩვენ აქ. ხელფასი ხელფასად გვაქვს, ბინა - ბინად და კვება ხომ - საუკეთესო. უჩვენოდ პირს არაფერს დააკარებენ, სანამ არ მოვალთ. ღმერთმა დალოცოს და ხელი მოუშართოს ნუგზარ ალუღოშვილის ოჯახს, - ამბობს ნაზო და ისეთი სიყვარული გამოსჭვავის მისი თვალებიდან, ეჭვი არ შეგეპარება მის გულწრფელობაში.

სულ ცალკე, დამოუკიდებელ თემად უნდა განვიხილოთ ის სილამაზე და დეკორატიული კეთილმოწყობა, რაც ეზოში შესულს აუცილებლად თვალში მოგხვდება. ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ყველანაირი გამუნებელი. უამრავი გამოუყენებელი ნივთი და ძველი საბურავები ისეთ სილამაზედ არის გადაქცეული, აღტაცებას ვერ დაფარავ: ზოგი თუთიყუშად, ზოგი ლოკოკინად, ზოგი ქართული თუ უცხოური ზღაპრის გმირად ქცეულან, ზოგს ფინჯანის და კალათის ფორმა მიუღია, ხის ტოტემზე ხელოვნური პეპლები „ინონებენ“ თავს და აქვე მრავლად განლაგებულ ფრინველთა „სახლებში“ მოყვარულე ჩიტების, მერცხლების და ჩიტბატონების უღურტულს უდგებენ ყურს. ყველგან: სამზარეულოში, საოფისე ოთახებში სამლოცველო კუთხესთან ერთად. ქოთნებში ულამაზესი ყვავილები ინონებენ თავს. გამორჩეულია ლაბორატორია, სადაც ამ ყველაფერთან ერთად ხორბლის თავთავებისაგან ისეთი წნულეხა გაკეთებული, რომელიც ხელოვნების ნიმუშად შეიძლება შეაფასო. ამ ყველაფრის შემოქმედი კი ბატონი ნუგზარის ქალიშვილი თამარი გახლავით. ის სპეციალობით ექიმი-ოფთალმოლოგი, მაგრამ, მრავალი შეთავაზების მიუხედავად, ქალაქურ ცხოვრებას თავისი მშობლიური მირზაანი არჩია.

(გაგრძელება გვ.8)

სახელმწიფო პოლიტიკა თუ პრტიული პოლიტიკოსების პირობა?

ახალი დეტალებია ქურმუხის ტაძარში გადაღებული სკანდალური ვიდეოების საქმეში. ამ დრომდე ცნობილი იყო, რომ გასულ თვეში და 2015 წელს გადაღებული ვიდეომასალა ორი სხვადასხვა ტელეკომპანიის ორგანიზებით მომზადდა და მასზე სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები მუშაობდნენ. ამჯერად გაირკვა, რომ მსახიობი, რომელიც ახალ ვიდეომასალაში ერთადერთი მთავარი მოქმედი პირია და „ავე მარია“ გამარჯვებულად ასრულებს, ორი წლის წინ გადაღებულ ფილმშიც მონაწილეობს. ამ მნიშვნელოვან დეტალზე დაყრდნობით გაჩნდა მოსაზრება, რომ ქრისტიანების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფელ პროვოკაციას იგივე ჯგუფი აგრძელებს, ვინც თავდაპირველად გადაიღო. ახალი დეტალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ორივე გადაცემა ერთიანად იგივე ჯგუფის დაკეცილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სატელევიზიო არხზე გადაიციან.

საინტერესო დეტალია ისიც, რომ ორი წლის წინ, ფილმის მოკლე ანონსი, რომელიც ეთერში ერთი კვირის განმავლობაში ტრიალებდა და ქრისტიანულ ტაძრებში მსახიობების შეურაცხყოფელ ქცევებს ასახავდა, საქართველოს საპატრიარქოს რეაგირების შემდეგ ტელეკომპანიამ წაშალა. თუმცა, გასულ კვირას გაზეთმა „შირაქმა“ აღმოაჩინა, რომ წაშლილი ვიდეოგოლი და გადაცემა იმავე ტელეკომპანიამ რამდენიმე თვის შემდეგ ხელახლა ატვირთა. როგორც სატელევიზიო არხის ოფიციალურ გვერდზე დაფიქსირებული, ფილმის მოკლე და ვრცელი ვერსიები ინტერნეტში 2016 წლის 1 მარტს ხელახლა განთავსდა. გაზეთის წინა ნომრებში ჩვენ ვიწყობოდით, რომ ეს მასალები ინტერნეტიდან ამოღებულია, რაც არასწორი აღმოჩნდა. ვიდეომასალა ამჟამადც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის. თუმცა, ტელეგადაცემა „ფერნანდო ქალაქში“, სადაც „ავე მარია“ გამარჯვებულად ასრულებს, სრულად წაშლილია და ის ტელეკომპანიის გვერდიდან გასულ კვირას, საპატრიარქოს განცხადების შემდეგ წაიშალა.

გარდა ამისა, ხორნაბუჯის და შერეთის ეპისკოპოსი მუფე დიმიტრი (კაპანაძე) საპატრიარქოს ტელევიზიის ეთერში სტუმრობისას აღნიშნავს, რომ მისი ინფორმაციით, ამ ტელეკომპანიამ გადაცემის თანამშრომლები გაათავისუფლა. მუფე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე წიგნების გადატანის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ამ წინის მანძილზე არც მას და არც ეპარქიის სასულიერო პირებს საზღვარზე ხატებისა და

